საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/3341
25/07/2025

3341-01-2-202507251808

ელმირა ალიბეკოვას
მის: ქ.გარდაბანი,
ტელ: .

გაცნობებთ, რომ სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გარდაბნის რაიონული სამმართველოს გარდაბნის პოლიციის განყოფილების 2025 წლის 10 აპრილის N01/2289 წერილით ინფორმაცია მიიღო მომხმარებლის უფლების დარღვევის შესაძლო ფაქტთან დაკავშირებით (შემდგომში - განმცხადებელი/მომხმარებელი).

მომხმარებელი, ელმირა ალიბეკოვა, აღნიშნავს, რომ სავაჭრო ობიექტზე დახლზე მითითებული ფასი განსხვავდება პროდუქტის რეალური ფასისგან, რომელიც სალაროსთან ეცნობება.

აღსანიშნავია, რომ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) თანახმად, ამ კანონის მიზანია მომხმარებლის უფლებების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა და მომხმარებლის პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის ხელშეწყობა. კანონი განსაზღვრავს იმ მომხმარებლის უფლებების დაცვის ზოგად პრინციპებს, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობას ამყარებს მოვაჭრესთან მისი საქონლის ან მომსახურების პირადი მოხმარების მიზნით გამოსაყენებლად.

კანონის 29-ე მუხლის საფუძველზე, სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ახორციელებს რიგ ღონისძიებებს, მათ შორის:

- შეისწავლის მომხმარებლის ამ კანონით დადგენილი უფლების შესაძლო დარღვევის ისეთ ფაქტს, რომელმაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევა

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

• საქმის შესწავლის მიზნით განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვს ინფორმაციას (მათ შორის, კონფიდენციალურ ინფორმაციას), რომელიც სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სჭირდება

• უფლებამოსილია საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა მოვაჭრის მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის შესახებ

• იწვევს მხარეებს/დაინტერესებულ პირებს ახსნა-განმარტებების მისაღებად

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დანართის სახით გიგზავნით **მოვაჭრის წერილს** და გთხოვთ, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე, 29-ე, 30-ე, 32-ე მუხლებისა და საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, წერილის ჩაბარებიდან **5 (ხუთი)** სამუშაო დღის ვადაში მოგვაწოდოთ თქვენი პოზიცია განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

დანართი: 3 (სამი) გვერდი.

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი